არქიტექტურული ძეგლის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი

აბანოთუბანი, ერეკლეს აბანო



ხედი აბანოს ძუჩიდან, 2018წ.

შემსრულებელი

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი

შ პ ს

„ძველი უბანი“

აგვისტო

2018

საკვლევი ტერიტორიის აღწერა

ობიექტი მდებარეობს თბილისის ისტორიულ ნაწილში, აბანოთუბანში (ძვ. სეიდაბადი) (კრწანისის მუნიციპალიტეტი) და მოიცავს აბანოს ქუჩაზე №2-ში მდებარე აბანოს (ყოფ. ერეკლეს). აბანო მართკუთხა გეგმარებისაა. კვლევის მიზანია აბანოს სამშენებლო ფენების და მათი არქიტექტურული ღირებულების დადგენა და აბანოს ადაპტაცია, ძველ გეგმარებით და სტრუქტურულ საფუძველზე, ახალი ფუნქციური მოთხოვნის შესაბამისად.



აეროფოტო 2014წ.



ტოპოგეგმა 2000წ.



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა, 2007წ.

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (საპროექტო ობიექტი)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო
- ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის საზღვარი

საპროექტო ობიექტი ეროვნული მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლია

ირგვლივ არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:

აბანოს ქუჩაზე – საცხოვრებელი სახლები: №№ 1,2,13,15,17,19,,21,23,25,29,31. .აბანოები: „ჭრელი აბანო“, „მეითარის აბანო“, „გოგირდის აბანო“.

გრიშაშვილის ქუჩაზე – საცხოვრებელი სახლები: №№ 8 და 10 და აბანო №№2/7 და 11.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საერდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.

უბნის ისტორიულ-არქიტექტურული განვითარება

ეს ადგილი ქალაქის უძველესი უბანია. თბილისი ამ მიდამოებში ჩაისახა, მეტეხის პლატოს მოპირდაპირე მხარეს, იქ სადაც წავკისის წყალი უერთდებოდა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირს. შუა საუკუნეებში წავკისის ღრმა ხევის გასწვრივ შემოზღუდული იყო თბილისის (ნარიყალას) ქვედა გალავანი. გალავნით შემოზღუდულ თბილისის ამ ნაწილს, XVIIIს-ში „ციხე დაბალი“ ეწოდებოდა. წავკისის ხევს კი – დაბახანა. აქ, ხევის მარჯვენა ნაპირზე განფენილი იყო გოგირდიანი აბანოების უბანი – საკუთრივ „ტფილისი“. ამ უბანს მთლიანად სეიდაბადსაც უწოდებდნენ, XVIIIს-ში როსტომ მეფის დროს აქ გადმოსახლებული სპარსელების – სეიდების გამო. XIXს-დან ეს მიდამოები ხარფუხად მოიხსენიება.

ამ უბნის ურბანულ განვითარებას შეგვიძლია თვალი გავადევნოთ XVIIIს-ის დასაწყისიდან. ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის თბილისის გეგმაზე დაბალი ციხის უბანი მჭიდროდაა განაშენიანებული. დასახლებულია მოპირდაპირე სეიდაბადიც. მტკვრის პირზე კი ბაღებია. ამ უბნის საინტერესო ლანდშაფტთან შეზრდილი ურბანული სტრუქტურები უკვე XVIIIს-დან იზიდავდა ევროპელ და რუს მხატვრებს.

XIXს-ის დასაწყისამდე „ქვედა გალავნის“ დამრეც ფერდობებზე ბანიანი სახლები იყო შეფენილი. შემდეგ მოშალეს ნარიყალას ქვედა გალავანი და ამავე დროიდან (XIXს-ის 30-იანი წწ.), ქალაქის მმართველობის მოთხოვნით უკვე აუცილებელი გახდა სახლების მშენებლობისთვის პროექტების შედგენა. XIXს-ის თბილისის გეგმებზე ნათლად ჩანს, თუ როგორ ყალიბდებოდა უბნის ქუჩების და განაშენიანების სტრუქტურა.

ამ უბნის ფუნქციურ დატვირთვას ძირითადად განაპირობებდა გოგირდის აბანოთა სიმრავლე და ხელოსანთა რიგები. უბნის სოციალური სტრუქტურა და ფუნქციური დატვირთვა აქ პრაქტიკულად უცვლელია XIX ს-ის ბოლომდე და სოციალური დაკვეთა, გეოგრაფიულ ფაქტორთან ერთად, აქაც გარკვეულად განაპირობებდა ქუჩათა სტრუქტურას და ნაგებობათა გარეგან სახეს, რაც აისახებოდა ნაგებობათა ხასიათსა და ხარისხზე.

XXს-ის დასაწყისში დასრულდა ამ უბნის ურბანული სახით ჩამოყალიბების ერთი ეტაპი. XXს-ის შუა პერიოდში დაიწყო მსხვილმასშტაბიანი სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება, რაც გაგრძელდა 80-იან წწ-ში. ამავე დროიდან ამ მიკროუბანს აბანოთუბანი ეწოდება.

XXს-ის II ნახ-ში მტკვრის სანაპიროების და მიმდებარე უბნების მსხვილმასშტაბიანი სტრუქტურული ცვლილებები ამ მონაკვეთსაც შეეხო. მოხდა წვრილი ურბანული სტრუქტურების ერთგვარი „გამოხშირვა“ და ფართო სივრცითი არეების შექმნა. აბანოთუბნის არქიტექტურული ხედი გაიხსნა და გაშლილი პლანით წარმოჩინდა.

1980-იან წწ-ში რესტავრაცია ჩაუტარდა აბანოებსა და საცხოვრებელ სახლებს. მოიხსნა ზედმეტი მინაშენები და აბანოთუბანმა თავდაპირველს მიახლოებული სახე დაიბრუნა.

2007-12 წწ-ში მოხდა უბნის რესტავრაცია, გაიხსნა წავკისის ხევი და უბანმა დღევანდელი სახე შეიძინა.

ისტორიული ცნობები – დოკუმენტურად ამ ადგილას აბანოები გამოსახულია XVIIIს-ის II ნახევრის ისტორიულ გეგმებსა და ჩანახატებზე. თუმცა ზოგადად ამ უბანში აბანოთა არსებობა დადასტურებულია უძველესი დროიდან. ფეოდალურ ხანაში აბანოები სამეფო ოჯახის წევრებს, დიდებულებს, ეკლესიას და მსვილ ვაჭრებს ეკუთვნოდა. თუმცა არსებობდა აბანოები სადაც მოქალაქეებიც დადიოდნენ.

XVIIIს-ში წავკისისწყლის ორთავე ნაპირზე არსებობდა აბანოები. ეს აბანოები აღნიშნულია თბილისის 1782 და 1785 წლის გეგმებზე, როგორც მინერალური წყლის აბანოები. 1800 წლის გეგმაზე აბანო წავკისისწყლის ხიდის გვერდით აღნიშნულია როგორც ერეკლე მეფს აბანო.

საქართველოს ისტორიულ არქივებში ამ აბანოს თავდაპირველი პროექტი დაცული არ არის.

XIXს-ის 40-იან წლებში ეს აბანო უკვე აღნიშნულია როგორც სიონის ეკლესიის აბანო, როგორც ეს ჩანს თბილისის 1844 წლის გეგმიდან.

კავკასიის კალენდარზე თანდართულ თბილისის 1850წ. გეგმაზეც აღნიშნულია სიონის აბანოდ №60. მამისა ბერძნიშვილის მიხედვით მას თბილელის ანუ თბილისის ეპისკოპოსის და ერეკლეს აბანოსაც უწოდებდნენ. მ. ბერძნიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIIIს-ში, თბ., 1965, გვ. 40.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ – 1921წ. ყველა აბანო სახელმწიფო სარგებლობაში გადავიდა. 1924 წლის გეგმაზე კი, აღნიშნულია, როგორც ყოფილი ირაკლის აბანო. მამისა ბერძნიშვილის მიხედვით აქ მამაკაცთა საერთო აბანო ყოფილა. იხ. გვ. 40.

1970-80-იან წლებში მოხდა აქ არსებული აბანოების რეკონსტრუქცია და ადაპტაცია (არქიტ. შ. ყავლაშვილის და ან. სოლომნიშვილის ჯგუფები). ძირითადად მოხდა ფასადების რეაბილიტაცია. აბანოებს მოაკლდა ან დაემატა ახალი მოცულობები, რეაბილიტაცია ჩატარდა 2000-იან წლებშიც და მიიღო ის კონფიგურაცია რაც დღეს აქვს.

- ლოკალური უბნის ქუჩების განვითარება

აბანოს ქუჩა – ეს იყო გზა ციხის ქვედა გალავნის გასწვრივ. XIX ს-ის დასაწყისიდან უკვე აბანოს ქუჩა ჰქვია;

იოსებ გრიშაშვილის ქუჩა – ეწოდა 1948 წ-დან. ჩაისახა XVIII ს-ის დასაწყისში და მიჰყვებოდა აქ არსებულ გზას განჯისკენ – 1735 წ. გეგმა. წლების განმავლობაში ეწოდებოდა განჯის, Новая, აბანოს, სურბ-სარქისის, ბოლნისის, და ტაგი-ზადეს სახელი;

მირზა ფათალი ახუნდოვის ქუჩა – წარმოიქმნა XIXს. I ნახ. ადრე მას მექვაბეთა (კატელნაია) ქუჩა ერქვა. სახელი დაკავშირებულია თბილისელ მექვაბეთა საქმიანობასთან. 1905-იდან დაფიქსირდა სუმბათოვის ქუჩის სახელით. (ესაზღვრებოდა სუმბათოვის მამულს). საბჭ.წყობის წლებში ჯერ სუნდუკიანცის შემდეგ კი მ.ფ. ახუნდოვის სახელი დაერქვა.







დაბახანა, ხედი სეიდაბადიდან, XIX ს-ის დასაწყისი



დაბახანა, ხედი სეიდაბადიდან, XIX ს-ის დასაწყისი, მხატვარი ჟაკოტე

აბანოები ძირითადად წავკისის ხევის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. ერთადერთი აბანო (ორბელიანების ე.წ. „ჭრელი“) მარცხენა ნაპირზე ნარიყალას ციხის ქვედა გალავნის კედელში იყო ჩართული. ეს ჩანს თბილისის 1785წ. გეგმაზე.

აბანოთა პირველი გრაფიკული გამოსახულებები XIXს-ის დასაწყისისაა. ამ ჩანახატებზე კარგად გაირჩევა, რომ აბანოთა ნახევარსფერული გუმბათები გარემოცულია ბანურგადახურვიანი მართკუთხა მოცულობებით, რომელთაც წინ ღია გალერეები დაუყვება. ზუსტად ამგვარი არქიტექტურული სახე აქვს აბანოებს მარჯვენა სანაპიროზე და მათ შორის ირაკლის აბანოსაც, რომელიც ქუჩის პირზე ღია გალერეით გამოდის, ბანზე კი გუმბათებია ამოზრდილი.



დაბახანა, ხედი სეიდაბადიდან, მხატვ. ნ. ჩერნეცოვი, გრაფიკა 1831წ

მომდევნო ჩანახატი ჩერნეცოვს ეკუთვნის, (1831წ.) სადაც დაახლოვებით იგივე რაკურსიდან არის გამოსახული აბანოების უბანი და ირაკლის აბანო.



დაბახანა, ხედი სეიდაბადიდან, მხატვ. ბ. გაბარინი 1850წ

1850-იანი წლების გაგარინისეულ ჩანახატზე აბანოთუბანი უკვე სახეცვლილია. ბანურგადახურვიან საცხოვრებელი სახლების ადგილს ორქანობიანი ნაგებობები იკავებს, აბანოთა სტრუქტურა კი არ შეცვლილა, თუმცა მათი არქიტექტურა უფრო მოწესრიგებულია.



დაბახანა, XIXს-ის დასასრული



დაბახანა, XXს-ის 40-იანი წწ

XIXს-ის დასასრულის ფოტოზე ერეკლეს აბანო იგივე მდგომარეობაშია.. არ ჩანს შეცვლილი ვითარება 1940-იანი წლების ფოტოზეც.



შბნის განაშენიანება, ხედი აბანოს ქუჩიდან 2009წ.



შბნის განაშენიანება, ხედი აბანოს ქუჩიდან 2005წ.

ერეკლეს აბანო აუყვება წავკისისწყლის მარჯვენა ნაპირის პერიმეტრს. XXს-ის II ნახევარში ხევი ამოვსებული იყო და ზედ გადიოდა ქუჩა. ამჟამად ხევი კვლავ გახსნილია და აბანოს გასწვრივ თარაზული პანდუსია მოწყობილი. აბანო მოქცეულია ორ მართკუთხა მოცულობას შორის. მომდევნო რესტორანი-აბანოა, რომელიც ადაპტირებულია 2000-იან წლებში. აქ შბნის განაშენიანება ტერასულად არის განლაგებული ფერდობზე. ქვედა ნაწილი დაკავებულია ხეობის ტაფობში გამართულ აბანოთა ბრტყელი სტრუქტურებს, რომლებიც კასკადურად ვითარდება ქვევიდან ზევით და ერთიან ფერადოვან ლაქად აღიქმება.



უბნის გაანაშენიანება, ხედი აბანოს ქუჩიდან 2018წ.



ერეკლეს აბანო, ხედი აბანოს ქუჩიდან 2018წ.

უბნის წავკისის ხევის რეაბილიტაციის დროს გამოვლინდა აბანოების ქვევით არსებული ძველი სტრუქტურები, რომლებიც დაფიქსირდა და გამაგრდა. ამ სტრუქტურათა ნაწილზე მოეწყო თარაზული პანდუსი რომელიც გაუყვება აბანოების პერიმეტრის ძირს.



ერეკლეს აბანო, ხედი დასავლეთიდან, ნარიყალადან, 2018წ.



აეროფოტო, 2014წ.



აბანოს გეგმა

აბანო ხეობის ტაფობზეა გამართული. მას სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ წაგრძელებული, ოდნავ ტრაპეციული გეგმარება აქვს. აბანოს შესასვლელი მოწყობილია ჩრდილოეთ მოკლე გვერდზე, მოკლე და ვიწრო ჩიხური შესასვლელის მხრიდან.

ჩრდილოეთიდან თარაზული შესასვლელის შემდეგ წაგრძელებული დერეფანია, რომელიც სოლისებურად ვითარდება ბოლომდე და მის გაყოლებით დასავლეთიდან ჩამწკრივებულია საკუთრივ აბანოს სათავსოები. სამი ორსათავსოიანი აბანოს ნომერი და ბოლოში ოთხსათავსოიანი. სამხრეთ ფლანგზე ამოზრდილია ამ ნომრის მოზრდილი დარბაზის ნახევასფერული გუმბათი, სასინათლო ღიობებით. დანარჩენი სათავსოების გადახურვები კი სხვადასხვა ფორმის მოცულობებით ვლინდება სივრცეში. მოზრდილი გუმბათის ჩრდილოეთით კიდევ სამი მომცრო კამაროვანი ოვალია ამოზრდილი. ანტრესოლის გადახურვა თარაზულია.



ანტრესოლის კიბე

აბანოს ინტერიერი დასავლეთ ნაწილში ერთდონიანია, აღმოსავლეთით კი მთელ სიგრძეზე წაგრძელებული ანტრესოლია მოწყობილი სამეურნეო საქმიანობისათვის. რომელშიც დერეფნის შუაში მოწყობილი თერთმეტსაფეხურიანი ხვეული კიბით ავდივართ. ორი დამხმარე მართკუთხა სათავსოა მოწყობილი ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან.



I ნომრის კარი



განმანაწილებელი დერეფანი



I ნომრის გასახდელი



I ნომრის აუზიანი ოთახი



აბანოს მოზრდილი დარბაზი, ნახევარსფერული გუმბათით

ორსათავსოიან ნომერთა წინა სათავსოები გასახდელებია, კუთხესთან დატანილი ტუალეტებით, უკანა სათავსოები კი, რომლებიც ხევისკენ არის მიმართული, აუზიანი ოთახებია. ამ სათავსოთა კამაროვან ჭერში დატანილია თითო მართკუთხა საჰაერო ღიობი. ბოლო ნომერში ერთი გასახდელი და სამი ოთახია, სხვადასხვა ზომის და ფორმის აუზებით.

უკანასკნელი ადაპტაციების დროს აბანოს ინტერიერის კედლები შელესილია და ყველა სათავსო მოგვიანებით შემოსილია სხვადასხვა ფორმისა და დაფერილობის კერამიკული ფილებით, რითიც დაკარგული აქვთ თავდაპირველი სახე. განახლებულია აბანოს ოთახების აუზები და ქვის საწოლი ტახტები.

დასკვნა და რეკომენდაციები:

ამ კვლევის მიზანია აბანოს სივრცობრივ-მოცულობითი გადაწყვეტის დადგენა და ნაგებობის სამშენებლო მასალისა და კონსტრუქციების გარკვევა. ასევე აბანოს სტრუქტურის არქიტექტურული და მხატვრული ხასიათის, განაშენიანების ჩამოყალიბების და განვითარების ქრონოლოგიის და ლანდშაფტის ათვისების თავისებურებების გამოვლენა. დასადგენია ასევე მოცულობითი აქცენტების მასშტაბური დამოკიდებულება ირგვლივ არსებულ განაშენიანებასთან და ქალაქის ლანდშაფტთან. ყოველივე ეს წარმოადგენს ამ ისტორიული უბნის ზოგად არქიტექტურულ-სივრცობრივ სახეს.

ეს აუცილებელია რათა გაირკვეს ნაგებობის ღირებული და არაღირებული მონაკვეთები და შემუშავდეს რეკომენდაციები აბანოს კომპლექსის ჰომოგენურობის შენარჩუნებით, მისი ადაპტაციისთვის და ძველ გეგმარებით და სტრუქტურულ საფუძველზე ახალი ფუნქციის შესაძენად.

ამჟამად, ინტერიერში ძველი მხატვრული გაფორმების ელემენტები დაფარულია და არ ჩანს, არც კედლებზე და არც გუმბათებსა თუ კამარებზე. ამიტომ, ზონდაჟებისა და გულმოდგინე კვლევის გარეშე აბანოს ზუსტი თავდაპირველი გეგმარებისა და ცხელი გოგირდის წყლის სისტემების დადგენა ვერ ხერხდება.

ამ უბანში არსებობს რამდენიმე სივრცობრივი, მხატვრულ-მოცულობითი კომპონენტი.

მთელი ეს განაშენიანება აწყობილია აქ თავდაპირველად არსებულ აბანოთა სტრუქტურებზე ჩასახულ ქუჩაბანდების ქსელზე. ამ ქსელის ჩამოყალიბება კი განაპირობა არსებულმა რელიეფმა და მისი განვითარება მოხდა ორგანულად, ცხოვრებისეულ საჭიროებიდან გამომდინარე.

ამჟამად განაშენიანების ნაწილი ადაპტირებულია, მაგრამ მიუხედავად ამისა ზოგადად ამ მიკრო უბანს არ დაუკარგავს ჰომოგენური ხასიათი და ამ ფერდობზე შეფენილი სტრუქტურები აბანოთუბნის მთელ განაშენიანებასთან ერთად წარმოადგენს ერთგვაროვან მხატვრულ-არქიტექტურულ მოცემულობას (რასაც ვერ ვიტყვით აქვე სკვერში აგებულ მსხვილმაშტაბიან სასტუმროზე, რომელიც ამოვარდნილია საერთო არქიტექტურული ხასიათიდან).

ამიტომ, ამ უბანში თითოეულ ნაგებობაზე ჩასატარებელი სარესტავრაციო, საადაპტაციო და თუნდაც სარემონტო სამუშაოების წარმოებისას გულმოდგინედ უნდა იყოს შესწავლილი თითოეული საპროექტო ნაგებობა და პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს უბნისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული სახე.

- განაშენიანების ქრონოლოგიური ჩარჩოები

განაშენიანება და აბანოები აქ საუკუნეების მანძილზე არსებობდა და თითქმის ყოველი ნაგებობის ძირი გვიანი შუა საუკუნეების ნაგებობების საფუძველს წარმოადგენს, თუმცა მიწისზედა განაშენიანების ძირითადი ბირთვი აქ XIXს-ის და XX საუკუნის დამდეგისაა და მისი სტრუქტურა მცირე ცვლილებების გარდა, მას შემდეგ არ შეცვლილა. ამგვარად ისტორიულიგანაშენიანების ქრონოლოგია საკმაოდ დიდია – გვიანი შუა საუკუნეებიდან XX ს-ის I ნახევრამდე. XX-XXIსს-ის დასაწყისის ადაპტირებული ჩანართებით.

აბანოები, ისევე როგორც თბილისური სხვა ნაგებობები მორგებულია არსებულ რელიეფზე და დაგეგმარებულია მისი სიმრუდის შესაბამისად.

ზუსტად ასევე შეიქმნა ერეკლეს აბანოც. თავდაპირველად ეს იყო სანახევროდ მიწაში ჩამჯდარი ბანურ გადახურვიანი მოცულობები აგურის გუმბათებით. მოგვიანებით აბანოს უკანა მხარეს ახალი მოცულობები დაშენდა. ეს აბანოც ნაწილობრივ ძველ სტრუქტურაზე ჩამოყალიბდა XIXს-ის შუა ხანებში და თანდათანობით მიიღო დღევანდელი სახე.

საარქივო ფოტოებზე ჩანს აბანოს თავდაპირველი ფასადის ნაწილი, ბანიანი გადახურვიით და გაირჩევა კამარათა გადახურვებიც.

ავთენტური სტრუქტურებია:

– აბანოს გეგმარებითი და ინტერიერის მოცულობითი სტრუქტურა და კამარებისა და ნახევარსფერული გუმბათის გადახურვები;

– დროთა განმავლობაში აბანოში განხორციელდა რიგი გეგმარებითი და მხატვრულ-არქიტექტურული ცვლილება. შეიცვალა წყალგაყვანილობის და გათბობის მილები. დამონტაჟდა ელექტროგაყვანილობა.

გვიანდელი დანამატებია:

– აბანოს ჩრდილოეთი ფასადის კუთხეში წაგრძელებული ვიწრო მოცულობები;

– შესასვლელის საფასადო სახე, ანტრესოლი და მისი კიბის უჯრედი;

– დავიწროვებული დერეფნის ბოლო წაგრძელებული ფლანგის სტრუქტურა და ტუალეტები ნომრებში;

– ანტრესოლის გადახურვა რკინაბეტონით;

– მთლიანადაა შეიცვლილი ინტერიერის მხატვრულ-არქიტექტურული სახე. იატაკი, კედლები და ოთახების გადახურვის კამარები და თაღები ახლად შეილესა და შეიმოსა ხის მასალით და კერამიკული ფილებით.



ახალი მასალით შემოსილი დერეფანი, 2018წ.

რეკომენდაციები:

– აუცილებელია ნაგებობების ავთენტური სტრუქტურების და მათი მხატვრულ-არქიტექტურული ელემენტების შენარჩუნება;

– აბანოს გვიანდელი დანამატები ადაპტირებული სტრუქტურებია და მათი აღება ან რეკონსტრუქცია დასაშვები უნდა იყოს, ოღონდ კვლავ უნდა იყოს გათვალისწინებული ამ აბანოს მხატვრულ-არქიტექტურული სახე და ხასიათი ისევე, როგორც ეს მოხდა არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით კარგად გააზრებული ბოლო ადაპტაციების დროს 1980-იან წლებში;

– აბანოს ნახევარსფერული გუმბათების და გადახურვის სისტემის ნაწილობრივ დაშლა თბოიზოლაციისა და წყალმედეგობის მიზნით შესაძლებელი ჩანს იმ შემთხვევაში, თუ ეს სისტემები აღდგება ისეთივე ზომის „ქართული“ აგურით და შესაბამისი ტექნოლოგიის დაცვით;

– შესაძლებელი ჩანს მცირე ღიობების გაჭრა გვერდით ფასადებზე ვენტილაციისათვის;

– ინტერიერებში შესანარჩუნებელია ზოგადი გეგმარება და კონსტრუქციები (კამარები, თაღედები, ნახევარსფერული გუმბათები). დასაშვებია ნაწილობრივი გადაგეგმარება (მაგ. ნიშების გადატიხრვა და სხვ.), ვინაიდან ძველი მხატვრული გაფორმება არ არის შემორჩენილი დასაშვები ჩანს ახალი მხატვრული სახეების დაპროექტება, ამგვარი გარემოსთვის დამახასიათებელი ტრადიციული თემატიკითა და ფორმით;

– ასევე აუცილებელია ადაპტაციის დეტალური პროექტი, როგორც არქიტექტურული ნაწილის ასევე მხატვრული სახის ესკიზების წარმოდგენით აბანოს ჭრილების განშლებზე;

– მნიშვნელოვანია პროექტირებაში არქიტექტორ-რესტავრატორთა მონაწილეობა.

- პროექტში სასურველია იყოს დასაბუთება არსებული და ახლად დასაპროექტებელი მოცულობების ფუნქციის, საინჟინრო აღჭურვის და საზოგადოებრივი სივრცის კეთილმოწყობის შესახებ;

- აუცილებელია სამუსაოების ჩატარების შემდეგ მიმდებარე ტერიტორიის კეთლმოწყობა და მშენებლობის მაღალი ხარისხი;

ხელოვნებათმცოდნე – ნია ჯანიშვილი

13. 08. 2018